საბროკერო კომპანია “რიონი კაპიტალის”
ეთიკის კოდექსი

თბილისი
2025 წელი

1. შესავალი

1.1. რიონი კაპიტალში (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), შემდგომში „კომპანია“, მოქმედი წინამდებარე ეთიკის კოდექსი ასახავს ქცევის პრინციპებსა და წესებს, რომელთა დაცვაც კომპანიის ყველა თანამშრომლისათვის სავალდებულოა. აქ გადმოცემული რეკომენდაციები მიზნად ისახავს კომპანიის საერთო ეფექტურობის, კომპანიის კაპიტალიზაციის, მისი ფინანსური მდგრადობისა და იმ ფინანსური ბაზრის გაუმჯობესებას, სადაც იგი ოპერირებს.

1.2. კომპანია აცნობიერებს თავის სოციალურ პასუხისმგებლობას პარტნიორების, კლიენტების, ბიზნეს პარტნიორების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „დაინტერესებული მხარეები“. კომპანიის საქმიანობის პრაქტიკა ითვალისწინებს ამ მოვალეობებს.

1.3. ყოველთვის, როდესაც წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული ეთიკური სტანდარტები და პრინციპები აჭარბებს ზოგადი ბიზნეს პრაქტიკითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, კომპანიისთვის უპირატესია წინამდებარე კოდექსის სტანდარტები და პრინციპები.

1.4. კომპანიის სახელით მოქმედებისას კომპანიის თითოეულმა მენეჯერმა და თანამშრომელმა უნდა დაიცვას წინამდებარე კოდექსით დადგენილი სტანდარტები და პრინციპები, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა და კომპანიაში დასაქმების განაკვეთის მოცულობისა. კომპანია ასევე მოელის, რომ მისი მომხმარებლები, კონტრაქტორები, პარტნიორები, აქციონერები და სხვა დაინტერესებული მხარეები დაიცავენ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებულ ეთიკის პრინციპებს.

1.5. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების შესაბამისად კოდექსი შესაძლოა გადასინჯული იქნას საერთო კრებაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი მუდმივი აქტუალობა და შესაბამისობა ეთიკის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

2. მისია, ხედვა და ღირებულებები

2.1. მისია

ჩვენი მისიაა გლობალურ ფინანსურ ბაზარზე კომფორტული წვდომის უზრუნველყოფა ადამიანებისათვის, სწორედ ამიტომ ვქმნით უმაღლეს ფინანსურ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს.
ჩვენ ვართ პროფესიონალთა გუნდი და ჩვენი მოწოდებაა, ვემსახუროთ ჩვენი კლიენტების ინტერესებს.

2.2. ხედვა

ჩვენ ვისწრაფვით, ვიყოთ ფინანსურად სტაბილური და დინამიურად განვითარებადი კომპანია, რომელიც ჩვენი კლიენტებისთვის საიმედო გზამკვლევი იქნება ფინანსურ სამყაროში და თანამედროვე და მოსახერხებელი გადაწყვეტილებებით დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს.

2.3. ღირებულებები

2.3.1. კომპანიის ღირებულებები ქმნის მისი კორპორატიული კულტურის ქვაკუთხედს და წარმართავს გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს კომპანიის საქმიანობის ყველა ასპექტში. ეს ღირებულებები განსაზღვრავს კომპანიის მიდგომას კლიენტებთან, ბიზნეს პარტნიორებთან და თანამშრომლებთან.

2.3.2. რამდენადაც კომპანია ბაზრის ცვალებადი მოთხოვნების კვლადაკვალ ვითარდება, ეს ღირებულებები შესაძლოა დაიხვეწოს და გაფართოვდეს.

ჩვენ ვაფასებთ ჩვენს კლიენტებს
ჩვენთვის ჩვენი კლიენტების საჭიროებები ჩვენს საჭიროებებზე წინ დგას.

ნდობა უაღრესად მნიშვნელოვანია და ჩვენ ვიღწვით იმისთვის, რომ მოვიპოვოთ და შევინარჩუნოთ ჩვენი კლიენტების ნდობა.
ჩვენ აქტიურად ვუსმენთ ჩვენს კლიენტებს და ამავდროულად გვესმის მათი.

ჩვენ გუნდურად ვმუშაობთ
ჩვენ პატივს ვცემთ და ვენდობით ერთმანეთს.
ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს კოლეგებს და ვეხმარებით მათ განვითარებაში.
ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთო მიზნების მისაღწევად.

ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ შედეგებზე
ჩვენი ყურადღებას ვამახვილებთ არა პროცესზე, არამედ შედეგების მიღწევაზე.
გუნდის თითოეული წევრი პასუხისმგებელია საერთო მიზნების მიღწევაში შეტანილი წვლილისათვის.
ჩვენ ღიად განვიხილავთ წარმატებასაც და წარუმატებლობასაც.

ჩვენ ჩვენს თავზე ვიღებთ ინიციატივას
ჩვენ ვავლენთ ინიციატივას და ვკისრულობთ პასუხისმგებლობას.
საერთო პრობლემებთან შეჯახებისას, ჩვენ ვდგამთ ნაბიჯებს მათ გადასაჭრელად.
ჩვენ არ შემოვიფარგლებით მხოლოდ ჩვენი ოფიციალური პასუხისმგებლობებით.

ჩვენ მუდმივად ვიზრდებით
ჩვენ ვიღებთ ცვლილებას და ღია ვართ ამისთვის.
ჩვენ ვახორციელებთ ცვლილებებს და ამას საკუთარი თავით ვიწყებთ.
ჩვენ არ გვეშინია ექსპერიმენტების და ახალი მიდგომების.

2.3.3. კომპანია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებების პატივისცემასა და დაცვას. იგი მოწოდებულია, დაიცვას ის პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაცია შრომის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ. ეს პრინციპები წარმართავს კომპანიის ქმედებებს ადამიანის უფლებათა სფეროში.

3. ინტერესთა კონფლიქტი

3.1. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც კომპანიის თანამშრომელს, მენეჯერს ან დამფუძნებელს პირდაპირი ან არაპირდაპირი პირადი ინტერესი გააჩნია ან განზრახული აქვს, მიიღოს ფაქტობრივი ან პოტენციური სარგებელი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის დოკუმენტებით და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების მის მიერ კეთილსინდისიერ და ეფექტურ შესრულებაზე. ამგვარ კონფლიქტს შეიძლება უარყოფითი შედეგი ჰქონდეს კომპანიისთვის, კლიენტებისთვის და პარტნიორებისთვის.

3.2. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, კომპანიის მენეჯერებმა და თანამშრომლებმა უნდა დაიცვან შემდეგი პრინციპები:

- თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან და გადაწყვეტილებებისგან, რომლებმაც შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს.
- მოერიდონ სიტუაციებს, რომლებიც შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი.
- დაიცვან პროფესიული ეთიკის და კომპანიის შიდა მოთხოვნები.
- თავი შეიკავონ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ინფორმაციის ან კომპანიის რესურსების პირადი მიზნებისთვის გამოყენებისგან.

3.3. ინტერესთა კონფლიქტი წყდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- უფლებამოსილი პირის სავალდებულო და დაუყოვნებელი ინფორმირება ინტერესთა კონფლიქტის შესახებ
- ინტერესთა თითოეული კონფლიქტის ინდივიდუალური განხილვა და გადაწყვეტა.
- კონფიდენციალურობის დაცვა კონფლიქტის მოგვარების სრული პროცესის განმავლობაში.
- კომპანიის, მისი დამფუძნებლებისა და თანამშრომლების ინტერესთა თანასწორობის უზრუნველყოფა კონფლიქტების მოგვარებისას.
- იმ პირთა დაცვა პოტენციური არასასურველი შედეგებისგან, რომლებიც ამხელენ ინტერესთა კონფლიქტს.

3.4. კომპანიის დამფუძნებლები ვალდებულნი არიან:

- თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ან პოტენციურად გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს.
- თავი შეიკავონ საერთო კრებაზე იმგვარ საკითხებზე კენჭისყრაში მონაწილეობისგან, სადაც მათმა მონაწილეობამ შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს. თუ აუცილებელია, ისინი არ უნდა ესწრებოდნენ ასეთი საკითხების განხილვას.
- გადაწყვეტილების მიღებისას საერთო კრების თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ აცნობონ ნებისმიერი პირადი ინტერესის ან ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.
- დამფუძნებელთა საერთო კრების დებულებით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა აცნობონ საერთო კრების თავმჯდომარეს ან/და კრების მდივანს.

3.5. კომპანიის დამფუძნებლებმა არ უნდა მიიღონ საჩუქრები, შეღავათები ან რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი სარგებელი დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით დაინტერესებული პირებისგან.

3.6. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გენერალური დირექტორი ვალდებულია, ითანამშრომლოს სხვა დამფუძნებლებთან კონფლიქტის მოსაგვარებლად და კომპანიის ეფექტური და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

3.7. თანამშრომლებს მოეთხოვებათ, კომპანიას შიდა წესების შესაბამისად დროულად აცნობონ კომპანიას ინტერესთა პოტენციური ან არსებული კონფლიქტის შესახებ და მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი.

3.8. კომპანია მართავს ინტერესთა კონფლიქტს შიდა რეგულაციების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებს ამგვარი კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებას.

4. კლიენტებთან, საქმიან პარტნიორებთან და სამთავრობო უწყებებთან ურთიერთობა

4.1. კომპანიის ურთიერთქმედება დამფუძნებლებთან, კლიენტებთან, ინვესტორებთან, კრედიტორებთან, საქმიან პარტნიორებთან და სახელმწიფო მოხელეებთან ეფუძნება მაქსიმალური პატიოსნების, ურთიერთპატივისცემის, გახსნილობის, გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერების, პროფესიონალიზმის, ნდობის, თანასწორობის და კლიენტების ინტერესთა პრიორიტეტულობის პრინციპებს. ჩვენ მზად ვართ, შევასრულოთ ვალდებულებები, მივაწოდოთ სრული ინფორმაცია, როგორც ამას კანონი მოითხოვს და სასამართლო საქმისწარმოებამდე მოლაპარაკებებს მივანიჭოთ უპირატესობა. ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, მათ შორის პრესკონფერენციებს, საქმიან შეხვედრებს, პუბლიკაციებს და ონლაინ პლატფორმებს, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს წვდომა კომპანიის ინფორმაციაზე.

4.2. ჩვენი თანამშრომლები ცდილობენ, მინიმუმამდე დაიყვანონ რისკები ჩვენი კლიენტებისთვის და ბიზნეს პარტნიორებისთვის. ჩვენ განსაკუთრებით ვაფასებთ ჩვენს, როგორც სანდო პარტნიორის, რეპუტაციას. მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობთ, შევამციროთ რისკები ჩვენი კლიენტებისა და

ბიზნეს პარტნიორებისთვის, ჩვენ ვმოქმედებთ ფრთხილად, ისე, რომ არ გავზარდოთ თავად კომპანიის რისკები.

4.3. ჩვენ ვიყენებთ ჩვენს გამოცდილებას და საუკეთესო გლობალურ პრაქტიკას, რათა განვავითაროთ ინოვაციური პროდუქტები და გამოვიტანოთ ისინი ფინანსურ ბაზარზე. უწყვეტი სწავლისა და ცოდნის შეძენის გზით, ჩვენ ვცდილობთ ჩვენს კლიენტებს ჰქონდეთ მნიშვნელოვანი უპირატესობა, რაც ხელს შეუწყობს მათ ფინანსურ კეთილდღეობასა და წარმატებას ბიზნესში.

4.4. ჩვენ ვისწრაფვით მაქსიმალური ეფექტურობისკენ პროცესებსა და პროცედურებში. პრობლემის ზუსტი განსაზღვრა, ინსტრუმენტების ფრთხილად შერჩევა და რესურსების რაციონალური გამოყენება არის ჩვენი ძირითადი მეთოდები ოპტიმალური შედეგების მისაღწევად.

4.5. კომპანია მოწოდებულია, შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები და განავითაროს ღირებული საქმიანი ურთიერთობები. ჩვენ ვდებთ ხელშეკრულებებს ურთიერთპატივისცემისა და ორმხრივი სარგებლის პრინციპზე დაყრდნობით. დავის შემთხვევაში ჩვენ ვცდილობთ, ვიპოვოთ სამართლიანი და ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილებები.

4.6. ჩვენ ვცდილობთ, განუხრელად დავიცვათ საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები და სტანდარტები, იმ ქვეყნების კანონები, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, წინამდებარე კოდექსი და კომპანიის სხვა შიდა წესები. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ დამფუძნებლების წინაშე ჩვენს მუშაობაზე, კლიენტების წინაშე საბროკერო მომსახურების ხარისხზე, ბიზნეს პარტნიორების წინაშე ჩვენი ვალდებულებების შესრულებაზე, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემასა და ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილ წვლილზე.

4.7. ჩვენ განუხრელად ვიცავთ საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ჩვენ ვაწარმოებთ ბიზნესს კლიენტებთან და კონტრაგენტებთან, რომლებიც არ არიან სანქციების სიაში, რომლებიც ეწევიან ლეგალურ საქმიანობას და შემოსავალს მხოლოდ კანონიერი წყაროებიდან იღებენ.

4.8. კომპანიის თანამშრომლები ოპერატიულად და კეთილსინდისიერად პასუხობენ კლიენტების, კონტრაგენტების, კრედიტორების, ბიზნეს პარტნიორების და სახელმწიფო მოხელეების მოთხოვნებს.

5. კონკურენტებთან ურთიერთობა

5.1. კონკურენტებთან კომპანია ურთიერთობს პატიოსნებისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპზე დაყრდნობით და მათ განიხილავს, როგორც საკუთარი განვითარების კატალიზატორს.

5.2. კონკურენტებთან ურთიერთობას ვამყარებთ ადგილობრივი კანონების, ბიზნეს სტანდარტებისა და ქცევის კოდექსის შესაბამისად. კომპანია მკაცრად ეწინააღმდეგება არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და იცავს ყველა მოქმედ ანტიმონოპოლიურ კანონს.

5.3. უთანხმოების და კონკურენციასთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში უპირატესობას ვანიჭებთ მოლაპარაკებებს და კომპრომისის ძიებას.

6. თანამშრომლებთან ურთიერთობა

6.1. კომპანია თანამშრომლებთან ურთიერთობას ამყარებს ხანგრძლივი თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და ორმხრივი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპებზე დაყრდნობით.

6.2. ჩვენ არ ვეგუებით დისკრიმინაციის რაიმე ფორმას, დასაქმებისას, კომპენსაციის გაცემისას და დაწინაურებისას ყველა თანამშრომელს თანაბარ შესაძლებლობებს ვთავაზობთ განურჩევლად მათი პოლიტიკური ან რელიგიური მრწამსისა, ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, ასაკის, ჯანმრთელობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ფაქტორების მიუხედავად.

6.3. დასაქმების, დაწინაურების ან ფინანსური წახალისებისას მკაცრად არის თავიდან აცილებული არასათანადო პრივილეგიები და უპირატესობები და სამართლიანობა მუდამ დაცულია.

6.4. ჩვენ ვქმნით გარემოს, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლების პროფესიულ ზრდას და სოციალურ კეთილდღეობას. ჩვენ ვაღიარებთ და მხარს ვუჭერთ თანამშრომლების თავისუფლებას, შეუერთდნენ პროფკავშირებს, ასოციაციებს და ჩაერთონ კოლექტიურ მოლაპარაკებებში.

6.5. ჩვენი თანამშრომლები ჩვენი გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჩვენ ვახორციელებთ დამატებით სოციალურ პროგრამებს დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, ვუწევთ მათ ფინანსურ დახმარებას და ვთავაზობთ დამატებით სამედიცინო დაზღვევას.

6.6. კომპანია იღებს ზომებს მის წინააღმდეგ უკანონო ქმედებების აღსაკვეთად, პრიორიტეტს ანიჭებს თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტურობასა და უსაფრთხოებას შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ მკაცრად ვკრძალავთ იძულებით ან ბავშვთა შრომას.

6.7. ჩვენ მოველით, რომ თანამშრომლები თავიდან აიცილებენ სიტუაციებს, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის რეპუტაციას ან მის მატერიალურ და არამატერიალურ ინტერესებს.

6.8. ჩვენ ხელს ვუწყობთ რისკების მართვის კულტურას და თანამშრომლებისგან მოვთხოვთ სიფხიზლეს პოტენციური რისკების მიმართ. თანამშრომლებმა კომპანიის რეგულაციების შესაბამისად დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ თავიანთ უშუალო ხელმძღვანელს იმ რისკების შესახებ, რამაც შეიძლება კომპანიის ზარალი გამოიწვიოს.

6.9. კონფიდენციალურობა
თანამშრომლები ვალდებულნი არიან, კონფიდენციალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით მკაცრად დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, წინამდებარე კოდექსი და კომპანიის რეგულაციები. მათ არ უნდა გაამჟღავნონ ან გადასცენ კომპანიის კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ არ არის ნებადართული ან მოთხოვნილი. აკრძალულია კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება პირადი ან პარტნიორის ინტერესებისთვის.

7. კორპორატიული სტილი

7.1. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს თავის იმიჯს, როგორც მიზნების და ამოცანების მიღწევის ინსტრუმენტს. ამიტომ, ყველა თანამშრომელს, განურჩევლად თანამდებობისა, ეკისრება პროფესიული პასუხისმგებლობა კორპორატიული კულტურის მოთხოვნების დაცვასა და კომპანიის დადებითი იმიჯის შენარჩუნებაზე.

7.2. თანამშრომლები, განურჩევლად მათი როლისა, უნდა ცდილობდნენ შეინარჩუნონ თავაზიანი, მეგობრული, პასუხისმგებელი და ტოლერანტული დამოკიდებულება კლიენტებთან და ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობისას, თუნდაც კლიენტების ან ბიზნეს პარტნიორების მხრიდან არასათანადო კომუნიკაციის შემთხვევაში.

7.3. მნიშვნელოვანია პუნქტუალურობისა და სამუშაო დისციპლინის დაცვა. თუ არსებობს გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინის დარღვევა, თანამშრომლებმა

დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ამის შესახებ უშუალო ხელმძღვანელს და მიიღონ ზომები ასეთი სიტუაციების შესამცირებლად.

7.4. რეკომენდებულია, რომ თანამშრომლების ჩაცმულობა შეესაბამებოდეს კომპანიის იმიჯს და რეკომენდაციებს. მათი გარეგნობა უნდა იყოს პროფესიონალური და არა პროვოკაციული ან დაუდევარი.

8. კომპანია და გარემო

8.1. კომპანია საკუთარ თავს მიიჩნევს იმ სოციალური გარემოს განუყოფელ ნაწილად, რომელშიც ის ფუნქციონირებს და ცდილობს დაამყაროს მყარი ურთიერთობები, რომლებიც დაფუძნებულია პატივისცემაზე, ნდობაზე, პატიოსნებასა და სამართლიანობაზე.

8.2. გარემოს დაცვა კომპანიის მთავარი პრიორიტეტია. ჩვენ ვისწრაფვით რესურსების (ელექტროენერგია, ქაღალდი, საწვავი და ა.შ.) პასუხისმგებლობით მოხმარებისაკენ სტანდარტებისა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი პრინციპების შესაბამისად.

8.3. თავის პრიორიტეტულ მიმართულებად კომპანია განსაზღვრავს იმ თემების მხარდაჭერას, სადაც იგი თავის საქმიანობას ახორციელებს, კომპანიის სტრატეგიის, ეროვნული პრიორიტეტებისა და ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისად. ეს მოიცავს სოციალურ და საქველმოქმედო პროექტებში მონაწილეობას.

9. კომპანიის ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

9.1. მოსალოდნელია, რომ თანამშრომლები კომპანიის ქონებას გონივრულად გამოიყენებენ და არ დაუშვებენ მის ბოროტად გამოყენებას ან განადგურებას.

9.2. კომპანიის ქონების დასაცავად და სწორად გამოყენების მიზნით, რეკომენდებულია, რომ თანამშრომლებმა:

- დაიცვან გონივრული სიფრთხილე ქურდობის, დაზიანების ან ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.
- თავიანთ უშუალო ხელმძღვანელს შეატყობინონ ფაქტობრივი ან სავარაუდო ქურდობის, დაზიანების ან ბოროტად გამოყენების შესახებ.
- დაიცვან კომპიუტერული სისტემები, მონაცემთა ბაზები, პროგრამული უზრუნველყოფა, საკომუნიკაციო საშუალებები და წერილობითი მასალები არაავტორიზებული წვდომისგან.
- კომპანიის ქონება, პროგრამული უზრუნველყოფა და საკომუნიკაციო საშუალებები გამოიყენონ მხოლოდ კანონიერი საქმიანი მიზნებისთვის თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ფარგლებში.

10. აღრიცხვა და ანგარიშგება

10.1. კომპანიის ეფექტური და გამჭვირვალე მუშაობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღრიცხვისა და ანგარიშგების ზუსტი და სანდო მონაცემები. ასეთი მონაცემები ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

10.2. თანამშრომლებს მოეთხოვებათ, შეინახონ კომპანიის საქმიანობის სრული, ნამდვილი, ზუსტი და დროული ჩანაწერები და ანგარიშები, როგორც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ნაწილი. დაუშვებელია დაინტერესებული მხარეებისთვის არაზუსტი, არასრული ან არადროული ანგარიშების მიწოდება.

10.3. თანამშრომლებმა, რომელთათვისაც ცნობილია აღრიცხვისა და ანგარიშგების პრინციპების დარღვევის შესახებ, მათ შორისაა ფულადი სახსრების მითვისება, ან კომპანიის ქონების აღურიცხველობა, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ამის შესახებ თავიანთ უშუალო ხელმძღვანელს და კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილებას.

11. ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ

11.1. კომპანია იცავს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ღია და პატიოსანი ბიზნესის ხელშეწყობას, კორპორატიული კულტურის გაუმჯობესებას, საუკეთესო კორპორატიული მმართველობის პრაქტიკის დაცვას და უმწიკვლო ბიზნეს რეპუტაციის შენარჩუნებას.

11.2. კომპანიის თანამშრომლებს მკაცრად ეკრძალებათ კორუფციულ საქმიანობაში ჩართვა, ქრთამის შეთავაზება ან მიღება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან კომერციულ მოსყიდვაში მონაწილეობა ადმინისტრაციული პროცედურების გასაადვილებლად ან ფულადი სარგებლის, ფასეულობების, ქონების ან მომსახურების მისაღებად საკუთარი ან მესამე მხარის სასარგებლოდ.

11.3. გენერალური დირექტორის, გენერალური დირექტორის მოადგილის, მთავარი ბუღალტრის თანამდებობებზე დასაქმებულებს არ შეუძლიათ, დაკავდნენ ისეთი შრომითი საქმიანობით, რომელიც გულისხმობს შრომით ურთიერთობას კომპანიის სხვა თანამშრომელთან, რომელთანაც მათ აქვთ მჭიდრო ოჯახური კავშირი (მშობლები, მეუღლეები, შვილები, ძმები და დები, ნათესავები ქორწინებით), თუ ეს იწვევს პირდაპირ დაქვემდებარებას ან კონტროლს.

11.4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაცემული ან მიღებული საჩუქრები (მათ შორის არამატერიალური ფორმით) უნდა შეესაბამებოდეს საქმიან პრაქტიკას და საქართველოს კანონმდებლობას.

11.5. თანამშრომლებმა უნდა დაიცვან კომპანიის ანტიკორუფციული პოლიტიკით გათვალისწინებული პრინციპები და პროცედურები.

12. ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენებისა და ბაზრით მანიპულირების პრევენცია.

12.1. კომპანია აქტიურად მუშაობს ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენებისა და ბაზრით მანიპულაციის აღკვეთის, გამოვლენისა და შეწყვეტის მიზნით.

12.2. კომპანია, მისი დამფუძნებლები და თანამშრომლები ვალდებულნი არიან, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, მიიღონ ყველა შესაძლო ზომა ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენებისა და გავრცელებისგან დასაცავად.

12.3. თუ კომპანიის თანამშრომელისთვის ცნობილი გახდა ინსაიდერული ინფორმაციის უკანონო გამოყენების ან ბაზრით მანიპულირების შესახებ, მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ თავის უშუალო ხელმძღვანელს, შესაბამისობის კონტროლისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ასევე კომპანიის აუდიტორს.

12.4. დამფუძნებლებმა და თანამშრომლებმა ასევე უნდა აცნობონ კომპანიას კომპანიის კაპიტალში მათი კუთვნილი წილების შესახებ და კომპანიის აქციებთან ან სასესხო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციის შესახებ, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა და კომპანიის წესები.

13. ინფორმაციის გამჟღავნება

13.1. კომპანია უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას საქართველოს კანონმდებლობის, ბირჟის მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანია წარადგენს სანდო, რეგულარულ და დროულ ინფორმაციას, ამავდროულად აბალანსებს კომპანიის ღიაობას და მის კომერციულ ინტერესებს.

13.2. კლიენტებისთვის და ბიზნეს პარტნიორებისთვის მიწოდებული ინფორმაციის მოცულობა დამოკიდებულია გაწეული მომსახურების ხასიათზე და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, წინამდებარე კოდექსს და კომპანიის სხვა რეგულაციებს.

13.3. კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მედიაში გავრცელებისას კომპანიის დამფუძნებლები და თანამშრომლები ვალდებულნი არიან, დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა და კომპანიის რეგულაციები.

14. კანონმდებლობის დაცვა

14.1. კომპანიის თითოეულმა თანამშრომელმა უნდა დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, ასევე იმ ქვეყნების კანონმდებლობა, სადაც ახორციელებს უფლებამოსილებას ან ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს.

14.2. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას კომპანიის თანამშრომლებმა უნდა დაიცვან სამართლებრივი ვალდებულებები, რომლებიც დაწესებულია იმ ქვეყნების მიერ, სადაც კომპანია ოპერირებს.

15. კონსულტაცია ეთიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ

15.1. თანამშრომლებს მოუწოდებენ, პასუხისმგებლობით მოეკიდონ ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებს ან პრობლემებს და განიხილონ ისინი თავიანთ უშუალო ხელმძღვანელებთან. თუ განხილვას არ მოჰყვება შესაბამისი გადაწყვეტილება, თანამშრომლებს შეუძლიათ, შეატყობინონ ადამიანური რესურსების განყოფილებას საკითხის გარკვევის მიზნით.

15.2. ყველა თანამშრომელს უფლება აქვს, უშუალოდ გაიაროს კონსულტაცია ადამიანური რესურსების განყოფილებას წარმომადგენელთან, რომელიც პასუხისმგებელია ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, გასცენ რეკომენდაციები და იმოქმედონ წინამდებარე კოდექსის შესაბამისად.

16. წინამდებარე კოდექსის დარღვევა

16.1. კომპანიის რომელიმე თანამშრომლის მხრიდან უკანონო ქმედებების ან იმგვარი ქმედებების ჩადენის შემთხვევაში, რომლებიც ეწინააღმდეგება წინამდებარე კოდექსის დებულებებს, მასზე შესაძლოა გამოყენებულ იქნას სანქციები მარეგულირებელი და სამეთვალყურეო ორგანოების მიერ.

16.2. თანამშრომლების ყველა მოხსენება და მოთხოვნა, კანონის ან წინამდებარე კოდექსის ცნობილ ან საეჭვო დარღვევებთან დაკავშირებით, განიხილება ყურადღებით და ობიექტურად კომპანიის წესებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.3. თანამშრომლებს უფლება აქვთ, კომპანიის წესების შესაბამისად შეატყობინონ ცნობილი ფაქტები ან გონივრული ეჭვი საქართველოს კანონმდებლობის, კომპანიის წესების, აგრეთვე ორგანიზაციული და ადმინისტრაციული დოკუმენტაციის დარღვევის შესახებ. ეს მოიცავს ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, კორუფცია, თაღლითობა და სხვა ქმედებები,

რამაც შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ზარალი ან ზიანი მიაყენოს კომპანიის რეპუტაციას. ასეთი შეტყობინებებისთვის გათვალისწინებულია „დანაშაულთან და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის“ ცხელი ხაზი.

16.4. კომპანია გარანტიას იძლევა, რომ დაცულ იქნება ინფორმაციის კონფიდენციალურობა და იმ თანამშრომლების უსაფრთხოება, რომლებიც იყენებენ „დანაშაულთან და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის“ ცხელ ხაზს, და ასევე იძლევა გარანტიას, რომ იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც აცნობებენ კომპანიის სხვა თანამშრომლების მიერ ჩადენილ დარღვევებს, არ იქნება გამოყენებული საპასუხო ზომები.

16.5. კოდექსის თითოეული დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა გარემოება. თანამშრომლებს, რომლებმაც დაარღვიეს კოდექსი, სანქციების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მიეცეთ საშუალება, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრება.